

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცესკოს დადგენილების მიღების თხოვნით მიმართავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დღეს წინადადებით მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებით ახალგაზრდა იურისტები საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული ხარვეზის აღმოფხვრას მოითხოვენ. ეს ცესკოს დადგენილებითაა შესაძლებელი. საქმე ეხება იმ ფაქტს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს დევნილთა მიერ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად დევნილის მოწმობის წადგენას. დევნილებს შეუძლიათ კენჭისყრაში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ პირადობის მონაწილის საფუძველზე. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დევნილი ხმას აძლევს თავისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (დროებითი მისამართის) მიხედვით.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მონაწილეობაში მითითებულია იურიდიული მისამართი, ხოლო ფაქტობრივი მისამართი - დევნილის მონაწილეობაში. შესაბამისად, თუ დევნილს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად არ ექნება დევნილის მონაწილის წარდგენის ვალდებულება, შეუძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რამდენად კანონიერად ხდება დევნილის მიერ აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელება თავისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. გარდა ამისა, მოცემულ ვითარებაში არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთმა და იმავე პირმა რამდენიმე საარჩევნო უბანში მისცეს ხმა, რაც იძლევა არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: თორნიკე გურული 893 28 13 27